გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ. — კ.
11	,, . .	9 ,, 50 ,,
10	,, . .	8 ,, 75 ,,
9	,, . .	8 ,, — ,,
8	,, . .	7 ,, 25 ,,
7	,, . .	6 ,, 50 ,,
6	,, . .	6 ,, — ,,
5	,, . .	5 ,, 50 ,,
4	,, . .	4 ,, 75 ,,
3	,, . .	3 ,, 50 ,,
2	,, . .	2 ,, 75 ,,
1	,, . .	1 ,, 50 ,,

ივერია

№ 133 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 133

წელიწადის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის წესი

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ, მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ წესზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

რედაქციისაგან

პირველ თიბათვიდგან წლის დამლევამდე გაზეთი „ივერია“ ჰღირს 6 მან. 50 კაპ.

ბიბლიოთეკა-სამკითხველოებისა, სტუდენტებისა და ხელოსნებისათვის ჰღირს ქალაქში 3 მან. და ქალაქ გარეთ 4 მან.

ვისაც გაზეთის ფული სრულად არა აქვთ შემოტანილი, რედაქცია სთხოვს წარმოადგინოს დანაჩრენიც რომ გაზეთის გზავნა არ მოესპოს.

გამოვიდა და ისყიდება დიდი სურათი

ᲧᲒᲣᲤᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲤᲔᲠᲚᲔᲑᲘᲡᲐ

(შესანიშნავი გამოცემა).

ᲤᲐᲡᲘ. ᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ.

ფასი თითო სურათისა 75 კაპ. ქალაქ გარეთ გაგზავნას ფას დადებითაც ვკისრულობთ, მხოლოდ არა ნაკლებ ხუთის ცალისას.

ადრესი: въ Тифлисъ, Эриванск. пл., д. Харазовой, Тарасію Момцеидзе. (წლ.).

საუკეთესო საბარაბარ ადგილები

ᲖᲔᲓ ᲡᲣᲠᲐᲛᲘᲡ ᲛᲐᲮᲚᲝᲑᲚᲐᲓ

მადლობს და ტკბილ შემოსილ მთებ შორის, ხეცა და ხეცა ხოტისა,

ᲘᲣᲚᲘᲓᲔᲑᲐ

იაფად და ხელ-მისაწვდომ ფასად.

იკითხეთ „ივერიის“ რედაქციის კანტორაში. (10—5)

გამოვიდა ᲩᲔ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ᲚᲐᲚᲐᲗᲘ

დრამა-ლეგენდა თ-ლ ედ. სუშათაშვილისა,

ავტორის სურათით და წინასიტყვაობით.

თარგმანი გრ. ყიფშიძისა.

კამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

ფასი ერთი მანეთი

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათს ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალეაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

ამ პიესას წარმოადგენს მთარგმნელის ნება-დაურთველად სცენიურო წესდების 1864 მუხლის ძალით დაკრძალულია.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘ

ს. ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲐᲓᲐᲛᲝᲕᲘ

ნაფიცი ვექილი

ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ

ნამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქადაგდების შესადგენად ამბერ-კავკასიაში,

ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.

ᲤᲐᲡᲘ 1 ᲛᲐᲜ.

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

იძლევა ქირით

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

თავის მოწყობილობით. ყოველი ცნობების შეტყობა შეიძლება სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა შენობაში, სადაც მოთავსებულია მამულების გამგე მმართველობის კანტორა. (10—2).

ᲢᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ-ᲐᲖᲜᲐᲣᲠᲗᲐ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲚᲝ სთხოვს ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთ მობრძანდნენ

საგანგებო საგუბერნიო კრებაზედ,

რომელიც დანიშნულია 12 ივნისისათვის 1904 წლ. დღისით 1 საათზედ თ-დ ქობულოვის სახლებში (არმაკუნიანისეული, გრიბოეოოვის ქუჩაზედ) ტფილისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის მოგების გასანაწილებლად შედგენილ პროეკტის განსახილველად და დასამტკიცებლად. (3—5—3).

ვიდებ საეკლესიო **ᲞᲐᲜᲙᲔᲚᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲐᲢᲕᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲡ** მსურველთ შეუძლიანთ მიეგმართონ შემდეგის ადრესით: სოფელი ᲠᲝᲣᲢᲐ, ტფილისის მ-ხრა, მდგდელს ᲔᲚᲘᲢᲝᲜ ᲣᲜᲘᲩᲐᲕᲔᲚᲡ. (15—8)

ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

პრიუტთან ახლოს მამული: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე საუკეთესო წყაროებით. წლიური შემოსავალი აქვს 400 მან., აგრეთვე მსურს გავყიდო სოფელს ტყეიავში (გორის მაზრა) ექვსი დესეტინა: ახლად გაშენებული ბაღი, სახლ-კარი და სახნავი მამულები. მსურველს შეუძლიან ცნობების შეტყობა კ. ფფილისში, სასახლის ქუჩაზედ სათავად-აზნაურო სახლი **ᲒᲠᲘᲖᲝᲚ ᲙᲝᲠᲘᲜᲗᲔᲚᲗᲐᲜ.** (5—5).

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველ. ᲨᲝᲠᲘᲡ წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

ᲞᲐᲞᲐᲜᲐ

2.

ᲐᲚᲘ

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: **Тифлисъ Общество распрстр. грамотности.**

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

ᲒᲣᲚᲘᲕᲘᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲒᲐ

ᲬᲧᲝᲕᲢᲘᲡ, მრავალის სურათით. 16ᲜᲓ 83 ფასი 30 კაპ.

ᲒᲐᲛᲝ.ᲕᲘᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ

შორეულ ადმოსავლეთის დაფარდებული

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲠᲣᲙᲐ

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა».

ფასი ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დრო შეურჩიოს, როდესაც შესაძლო იქმნება შეუფერებელად გაიაროს პორტ-არტურისაკენ.

რუსეთში ყველას გული ეწვის პორტ-არტურისა, დიდ-ოკეანეს ესაკრძალა და რუსეთის სახელის შელახვის გამო ქვეთუნის მთა-კლდეებთან — ამბობს «მოსკოვსკი ედომოსტი». მაგრამ ისიც კარგად ვიცით, რომ ჩვენზე მეტად გული იმისა სტკივა, რომელსაც უკისრნია წინამძღვრობა ამ ომში და პასუხის მგებელია შედეგისათვის- ამ შემთხვევაში მთავარსარდალიც და სამხედრო კაცებიც ჩვენთან ერთად ერთის გრძნობით ვართ შეპყრობილნი. ხოლო იმას ჩვენი დამშვიდება კი არ უკისრნია, არამედ ტტრის დამარცხება. რუსეთის საზოგადოებამ კარგად იცის, რომ გამარჯვება ერთბაშად არ შეიძლება, ხან წინ წასვლა უნდა, ხან დახევა, ზოგჯერ მსხვერპლიც არის საჭირო. რუსეთმა მოსკოვიც კი გამოიმეტა, როდესაც ეს საჭიროდ დაინახა მტრის შესამუსრავად.

მართალია, ამ ჟამად რუსეთის გული მდუდარებით იწვის, გაკადნიერებულ მტრისაგან მოურიდებლად შელახული, მაგრამ ყველა ნდობის თვალით შეპყურებს მანჯურიის ლაშქარს და დარწმუნებულია, რომ იქნებ თუ მალე გაიმარჯვებს. დასაწყისი კი არა, ბოლო ავგირგვინებს საქმეს...

გენერალი კუროპატკინი ისე მოიქცევა, როგორც თავისი ჭკუა-გონება გაუჭრის, და რუსეთიც არ დაჰკარგავს სიმტკიცესა და რწმენას, რომ მანჯურიის ლაშქრის მთავარ-სარდალი თავის ხისტტმატიურის მოქმედებით სრულიად გასრესს გაკადნიერებულ მტერს. განზრახვის ასასრულებლად საჭიროა, აღმირალ სკრიდლო

Digitized by Google

გამტეხია, და თქვენ რა დაგემართათო..?

„სიყრმიდან ქართველთა მოწონაე წრეში ტრიალებდა და თითქმის ორმოცის წლის განმავლობაში მედგრად ებრძოდა ჩვენს ცხოვრების უკუღმართ წრეებსა და წყვრებს და ერთხელაც არ უნახავთ შემდრალი, სასოწარკვეთილი, უკან დახეული, თავადი მერაბი პარტიის კაცი იყო, მაგრამ პროგრესიულის პარტიისა. რომელიც უანგაროდ იბრძვის საზოგადოების საკეთილდღეოდ და ამ ბრძოლაში, მთელს თავის ხანგრძლივ სიცოცხლეში, თავისი სიტყვა ერთხელაც არ გაუმრუდებია, თავისის წრის მიმართულებისთვის ერთხელაც არ უტმაუნია. ის არ იყო მჭეფრმეტყველი ორატორი, მაგრამ, მაინც ენერგიულის თანდათანობით მხნედ იცავდა თავის აზრს, თავის წრის განზრახვებს, საზოგადოების საკეთილდღეო მისწრაფებასა და ინტერესს.

„ბევრი, ნივთიერად შეძლებული ადამიანი კვდება ჩვენში ისე, რომ საზოგადოებისთვის არაფერს სტოვებს. განსვენებულმა კი ამ მხრივაც არ დაიიწყა ჩვენი საზოგადოება, თუმცა ნივთიერად ღარიბი იყო: ქართველებს მან ღირსეული განძი უანდერძა—და ეს განძია მისი შვილები, რომელნიც მან, საზოგადოების დაუხმარებლად, საკუთარის ინიციატივითა და საშუალებით გამოზარდა ‼ რომელთაც გულში თავისი ერის, თავისი მამულისადმი სიყვარული ღრმად ჩაუნერგა. ამისთანა შეწირულება დიდ განძად უნდა ჩაითვალოს, განსაკუთრებით ჩვენს დროში, როცა ქართველთა ოჯახებშ., სავალალოდ ჩვენდა, ეროვნული გრძნობა და თავმოყვარეობა თითქმის ერთიანად ჩამქრალია.

„მერაბ ლორთქიფანიძის ხსოვნა არ გაქრება მის მცნობთა შეგნებულ ქართველთა გულში და მათგან თანამედროვე მოზარდ თაობასაც სამაგალითოდ გადაეცემა».

ᲓᲐᲕ.

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲣᲠᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

ს. **ᲣᲐᲜᲓᲐᲠᲐ**. (გარე კახეთი). ეს ორი წყლიწადი გადის, რაც ჩვენს სოფელს გამოასალმეს ბოროტ მოქმედებმა სოფლისათვის დიდი სარგებლობის მომტანი და საყვარელი კაცი მამასახლისი ივანე ჯავახიშვილი, რომელიც იყო ნამდვილი ტიპი ძველის ქართველისა ამ კაცს დიდის ინდით და ენერგიით ეცოდინა ეს საქმე, ეს ეროვნული ენა, ეს ეროვნული ფერი, ეს ეროვნული ზნე-ჩვეულებანი, ეს ეროვნული ტანსაცმელი, ეს ეროვნული ცხოვრება, ეს ეროვნული ენერგია, ეს ეროვნული ... ეს ე�რულ წ -ედებულ მეგობრებსა და თვითონ ველიჩოსაცა.

ამის გამო უბრალო ნაცნობობის გაგრძელებაც კი გაჭირდა ველიჩოსთანა. იმის რედაქტორობის დროს მე კ„ᲙᲐᲯᲘᲡᲐ“-ში დავბეჭდე მხოლოდ ორი პატარა შენიშვნა, ისიც გასამტყუნებელად იმ აზრებისა, რომელნიც გამოთქმულნი იყვნენ ამ გაზეთში. როცა «ᲠᲐᲯᲐᲠᲘ Ა ᲢᲐᲤᲔᲠᲘᲡᲐ» არ დამიბეჭდა «ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲝᲠᲐᲒᲠᲐᲜᲘᲗᲐ», იგი დასასტამბად მივუტანე ᲕᲔᲚᲘᲩᲝᲡᲗᲐᲜ; მაგრამ იმანაც უარი მითხრა სრულიად წინააღმდეგი მიზეზით: ზოგი ადგილი ძლიერ საწყენად ჩასთვალა ჩვენი ჩრდილოეთ მეზობლებისათვის. მე იძულებული შევიქენი ცალკე წიგნაკად გამამეცა, და საქმე ისე დატრიალდა, რომ ორივე რედაქციას მადლობის მეტს ვერას ვეტყოდი: მთელი მამაცება, რვა ასი ცალი, ორის კვირის განმავლობაში დაიტაცეს..

ამ წიგნს ველიჩკომ „ᲙᲐᲯᲘᲡᲐ“-ში უძღვნა ვრცელი საბიბლიოგრაფიო წერილი; მაგრამ როგორიმ ქებით მოიხსენია ის ადგილები, რომელებიც აშკარად ᲐᲮᲛᲔᲜᲓᲚᲘᲡ ჩვენი სასხართველოს მეზობლების უმადურობას, ხოლო კრინტი არ დასძრა იმ საყვედურის შესახებ, რომელიც მიმართული იყო ჩრდილოეთისაკენ... ბოლოს ურთიერთობა ჩემსა და ველიჩკოს შორის ისე გაცივდა, ისე გალელეჩდა, რომ სალამის მიცემაც ვეღარ ეღირებოდა ერთმანეთისთვის.

ასეც უნდა მომხდარიყო. თანდა-თან გამოაშკარავდა, რომ ველიჩკო იყო მიმდევარი დენაციონალიზაციისა და ასსიმილიაციისა რუსეთთანა ყველა იმ უცხო ხალხებისა, რომელნიც რუსთა ხელმწიფის ქვეშევრდომნი არიან. მე კი ყოველთვის იმ აზრისა ვიყავი, რომ დენაციონალიზაციას აუცილებელად მოსდევს დემორალიზაცია, გახარწნა და დაცემა ერისა, მეტადრე იმისთანასი, რომელსაც თავისი საკუთარი ისტორიული ცხოვრება ჰქონია მრავალი საუკუნის განმავლობაში და საკუთარი კულტურა შეუქმნია. ულორტი შეიძლება ანამყნოთ სხვა ხეზე; მაგრამ თუ დასრულებულს და ხნიერს ხეს მოუნდომებთ ამას, იგი უსათუოდ დაეჭნება და გახმება.

მაშ რითი უნდა ავხსნათ, რომ ზოგნი სამოციანი წლის მოღვაწენი, უნიჭიერესნი მამულიშვილნი, არ აკლებდნენ ველიჩკოს თავისს კარგს ნაცნობობას, მეგობრობას?

ეს აიხსნება იმითი, რომ ველიჩკო უპირატესობას აძლევდა ქართველებს რუსეთის ყველა უცხო ტომთა შორის და რუსეთის შემდეგ პირველს ადგილს უთმობდა. მხოლოდ ქართველებისათვის თხოოულობდა თანაბარს უფლებას მეგობარ ერთანნა. როცა ტფილისის სახაზინო პალატის თავმჯდომარემ ბუტირკინმა ისარგებლა ველიჩკოს არ ყოფნით ტფილისში და «ᲙᲐᲯᲘᲡᲐ»-ში დაბეჭდა ვრცელი წერილი შესახებ შავის ზღვის ნაპირების დასახლებისა და გაატარა ის აზრი, რომ იქ მხოლოდ რუსებს უნდა მაცცეს მიწა-წყალიო და სხვას არავისაო, ველიჩკომ დაუყოვნებლივ გამოგზავნა ვრცელი პასუხი რუსეთიდგან, ოომელშიაც ამტკიცებდა, რომ რუსების გარდა ქართველებს უნდა მიეცეს შავის ზღვის პირად საცხოვრებელი ადგილებიო, რადგანაც მათ აუარებელი სისხლი დაუღვრიათ ამ ტერიტორიის დასაცველად ქრისტიანობისა და კულტუციისათვის და ძლიერ საიმედო ელემენტსაც წარმოადგენენ.

ამ სტატიასთან მჭიდრო კავშირი ჰქონდა ერთს მისს მოზრდილ ლექსსა, რომელიც იმ ხანებშივე დაბეჭდა «ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ»-ში ველიჩკომ ამ სათაურით: «დეე კრასავიცი». პირველ კეკლუცად გამოჰყავდა რუსეთი, მეორედ საქართველო, დაბ პირველის კეკლუცისა. პირველი კეკლუცი დაი სავსებით გამოვიდა გაჭირვებულ მდგომარეობიდანაო, მეორე კი მეტად სიშიშარს ყოფაში არისო, და პირველი დაი ხელს არ უწყობს, არ შველის, გულ-გრილად ეუურებს თავის დის უბედურებასაო, რომელიც ლამის დაიღუპოსო. ლექსი იყო აღსავსე ისეთი თანაგრძნობით საქართველოსადმი, რომ მეტს ქართველი პოეტიც ვერ გაბედავდა.

როდესაც ასის წლის იუბილეი რუსეთთან საქართველოს შეერთებისა იდღესასწაულეს, ველიჩკომ „მოსკოვის ვედომოსტებში“ დაბეჭდა მეთაური წერილი, რომელშიაც იგი დიდი სიამაყაოით უთვალისწუნებდა რუსეთის საზოგადოებას საქართველოს ღვაწლს წარსულში, მისს აწმყო გაჭირვებას და თხოულობდა შეცვლას იმ შემავიწროებელ პირობებისას, რომელიც საშიშ მდგომარეობაში ამყოფებენ ჩვენს ერთგულს მომბეგებს—ქართველებსო, მეტადრე საკირიდ სთვლიდა საქართველოს ეკლესიის მართვის ცვლილებას, გაუკეთესოებასა.

ამ წერილს მოჰყვა სიმპატიური მსჯელობა ველიჩკოს შესახებ დდა-ენის ხმარებისა სახალხო სკოლებში ჩვენში და სხვა რუსეთის უცხო ხალხთა შორის. აი მან რა სტრიქონები დაბეჭდა „ᲠᲣᲡᲘᲐ ᲕᲔᲡᲢᲜᲘᲚ“-ში: „ქართველი, პოლონელი, თათარი და სხვა ჩვენებური უცხო ხალხი უფრო ᲩᲥᲕᲘᲜᲐ, უფრო პატიოსანი და უფრო დოვლათიანი იქმნება, თუ პირველ დაწყებითის სწავლებას მათ შორის შშობლიურს ენაზე მოვაწყობთო“.

მისი რომანი «უდავი», ბორკოვის ფსევდონიმით დაბეჭდილი, ქართველებს ახასიათებს მოხიბლავი სიმპატიით, და ყველა მკითხველში დიდს თანაგრძნობას ჩვენის ხალხისადმი ჰბადავს და აძლიერებს. ამ ფრიად სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს ის აფუჩეებს მხოლოდ უსამზღვრო სიმოროტე და სიძულვილი სომეხთადმი, რომლითაც გაღღენთილია ეს რომანი, უფრო მეტი სიმარჯვით დაწერილი, ვიდრე სხვა მისი მოთხრობანი.

საზოგადოდ, ველიჩკო უფრო მეტი სითამამით და მეტი თანაგრძნობით სწერდა ქართველებზე, როცა სახელსა და გვარს არ აწერდა ქვეშ და ფსევდონიმის პირბადეს იფარებდა. მაგრამ ეს თანაგრძნობა აშკარად სუსტდებოდა და ირყეოდა, როცა უპირბადოდ გამოდიოდა მკითხველ საზოგადოების წინაშე. ეტყობოდა, რომ მას რაღაც აფიქრებდა და აშინებდა. რაა, სახელდობრ? ალბად ჩვენი დოღრინალები, ჩვენი უტაქტობა, პავშვური მამაცური ფრაზების სროლა აფიქრებდა. ერთხელ ლაპარაკში სთქვა: მე დარწმუნებული ვარ, რომ ქართველებში რეალური სპპარატიზმი და ღალატი შეუძლებელია; მაგრამ ᲮᲨირათ ზოგნი ინტელიგენტნი ისეთ ფრაზებს ისკრიან და ისე იქცევიან, რომ, თუ რუსი ახლო არ იცნობს ქართველებს, სეპარატისტებად ᲩᲐᲗᲕᲚᲘᲡ. და ამას კი შეუძლიან ყოველს მათ მომხრე რუსს ნდობა დაუკარგოს რუსთა საზოგადოების და მმართებლობის თვალშია.

ეშკს გარეშეა, რომ ველიჩკოში იპოვებოდა ნამდვილი სიმპატია ქართველებისადმი. ამ სიმპატიას იმითი ხსნიდნენ, რომ მას დიდიდედა ქართველი ᲰᲧᲐᲓᲐᲗ, და მის სისხლში ქართული ელემენტი ერიათ. მაგრამ ამ სიმპატიას მეტად ასუსტებდა უკეღმართი მიმართულება და ხსენებული შიში და სწორედ ამითი უნდა აეხსნათ ის დიდი უნდობლობა, რომელიც მან ერთს შემთხვევაში გამოიჩინა. სახელდობ, მან დასწერა, რომ ამიერ. კავკასიის რკინის გზა აერთებს ადმოსავლეთისა და დასავლეთის ქართველებსაო, და ეს კი საშიშია, რადგანაც ქართველები ნერვიანი ᲮᲐᲚᲮᲘᲐᲗ».

ზოგნი ჩვენებურნი ინტელიგენტნი იმ აზრისანი იყვნენ, რომ ველიჩკოს მტერმოყვარეობას ისეგ წმინდა მტრობა სჯობიანო. დიაღაც ემჯობინებოდა, ჩვენი მდგომარეობა რომ მეტად კრიტიკული არ იყოს. მოგეხსენებათ, რომ რკინას ცეგა სიმტკიცეს უმატებს და აფოლადებს; მაგრამ თუ თუჯს დაუშენთ დიდ ჩაქუჩებს, იგი კი არ გამაგრდება, გატყდება. ერის მდგომარეობა ცვალებადია. ხან იგი არის რკინის მდგომარეობაში, ხან თუჯს მოგაგონებთ, და ბევრს ცემას ვერ აიტანს, ბევრს მტერს ვერ გაუძლებს. საუბედუროდ, ჩვენი სამშობლო—ამ ტამად-სწორედ თუჯს ემსგავსება. წოდებანი ერთმანეთს ებრძვიან, პროვინციალიზმი ჯერ კიდევ ძლიერია, ბატონ-ყმობა ფაქტიურად ჯერ კიდევ არსებობს, ინტელიგენცია დაყოფილია პატარ-პატარა ᲯᲒუფებად, საერთო პროგრამა არ არსებობს, და ყველა ამის გამოც ქართველობა ერთიულს ერს არ წარმოადგენს. ამისთანა ყოფაში მტერ-მოყვარენი მტრად არ უნდა გადაეკეცოთ, მოწინააღმდეგე ძალი არ უნდა გავაძლიეროთ, თორემ ადვილად შეიძლება ერის ორგანიზმი სამუდამოდ გატეხდეს სუსტი თუჯივითა. როცა ჩვენი სამშობლო გამოვა ამ მდგომარეობიდგან, ბატონ-ყმობა ფაქტიურად მოისპობა, პროვინციალიზმი გაქრება, ინტელიგენცია სოლიდარობის გზას მტკიცედ დაადგება და ჩვენი ერის სოციალური ორგანიზმი რკინის სიტკიცეს მოიპოვებს, მაშინ თამამად და უშიშრად შეუძლიან მტერ-მოყვარეს ზურგი შეუქცეოთ და მათ წინადა მტრობას სრულიადაც ადარ შეუეუშინდეთ.

ამ ეამად კი მთელი ჩვენი ძალა და ღონე უნდა ვიხმაროთ იმ პოლიტიკანების წინააღმდეგ, რომელნიც სულ ჩვენს ძაგებაში არიან, ერთს კეთილ სიტყვასაც არ გვაღირსებენ, საზოგადოების და მთავრობის თვალში სახელს გვიტეხენ, ᲰᲝᲢᲔᲚᲝᲢᲝᲒᲡ გვამგზავსებენ, იმ ცოტა-დენს რასმე, რაც კიდევ შაგვრჩენია, ხელიდგან გვაცდაინ ლაღად და უნამუსოდ გვიპირობენ გაქარწყლებასა, ერთი სიტყვით მოსისხლე მტრობას გვიცხადებენ. აი სათაკენ უნდა იყოს მიმართული ჩვენი ყურადღება, უნარი, გაბედულობა და მოქმედება.

ᲘᲐᲙᲝᲑ ᲒᲝᲒᲔᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲐ

(რუსეთის ცხოვრების საკენტრისაგან)

7 ივნისი.

ᲑᲐᲙᲘᲚᲘᲐᲜᲘ. (რეიტერის საგ.). შანხაიდან მოსული ამერიკის ვემის «ᲯᲔᲜᲘᲡ ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘᲡ» კაპიტანი იუწყება, 5 ივნისს პუპარის ყურეს დასაყენებად გაიჭრეს ᲘᲛᲘᲡ ᲒᲔᲛᲘ და რუსის კრეისერმა გაშინჯა. ორი საათის დაკავების შემდეგ ნება მოგვცა წასვლისა.

ᲤᲘᲚᲘᲞᲘᲜᲘᲡ. სიუანიდან მოსულმა იაპონელებმა 3 ივნისს დაიჭიროს სინკალინი, მდებარე 23 მილზე დასავლეთად.

ᲚᲘᲐᲝᲢᲘᲜᲘ. (რეიტერის საგ.). ვაფანგოუსთან ბრძოლის დროს 50 ᲮᲐᲠᲑᲐᲜᲘ ᲜᲐᲜᲝᲜᲔᲚᲗᲐᲜ ᲔᲚᲔᲠᲛᲔ რუსის პოზიციას. ბრძოლა არტილერიამ გადასწყვიტა. რუსებმა შემოუარეს იაპონიის მარცხენა ფრთედსა, მაგრამ იაპონელებმა შესცვლეს ფრონტი და ᲮᲐᲕᲘᲓᲔᲜᲔ პირდაპირ ერთობ ძრილ გამაჯრეს პოზიციაზე. მდგომარეობა ᲯᲐᲠᲘᲚᲘᲐ საუცხოოა. გენერალმა კუროპატკინმა მოუწოდა ᲯᲐᲠᲘᲡ, რწმუნება.ნდობა იქონინ.—იაპონელნი პორტ-არტურის წინ სდგმენ ციხის ᲮᲐᲠᲑᲐᲖᲜᲔᲑᲡ. რუსეთის დაწეეა ვაფანგოუსთან და წინ სვლა იაპონელებისა აღმოსავლეთად და ჩრდილო-აღმოსავლეთად რუსების პოზიციიდან იმის ნიშნია, რომ სამხრეთ აღმოსავლეთად ᲯᲔᲠ კიდევ ბრძოლა მოხდება. მუკდენში დიდი სამხედრო მზადებაა.

ᲥᲘᲢᲘᲡᲘ. გუშინ საღამოს წავიდა ირკუტსკს 21-ერთე ეიმპირის სამხედრო სანიტარო მატარებელი სამხრეთ-დასავლეთ რკინის გზებისა. მატარებელი შესდგება 16 კარგად მოწყობილის ვაგონი-

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

უმორჩილესად გთხოვთ, ნება გვიბოძოთ თქვენის პატიცემულის გაზეთის საშვალებით, როგორც ჩვენს, ისე მთელს ლიხაურის საზოგადოების (ოზურგეთას მაზრისა) მხრივაც უგულითადესი მადლობა გადმოგიგზავნოთ ᲛᲘᲡᲐᲮᲡᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲡᲮᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲚᲘᲐ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲚᲘᲮᲐᲣᲠᲘᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲛᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘᲡ Ა. ᲯᲘᲨᲙᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲚᲘᲮᲐᲣᲠᲘᲡ ᲝᲠᲙᲚᲘᲡᲘᲜᲐᲠ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲖᲔᲓᲐᲛᲮᲔᲓᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲜᲐᲒᲘᲡ ᲛᲘᲜᲐᲫᲔ.

საგან. მატარებელშია ერთი უფროსი და სამი უცროსი ექიმი, ხუთი დანი სათნოებისა და რამდენიმე სანიტარი.

ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘ. დღეს, ღამე, ყაზახმა მოსამსახურემ ცუღოის ყუა დაარტყა გორსკოგ-მიზზოკის პოლკის კომანდირის პოლკოვნიკის სკლიაროვის ცოლს ძილის დროს და მოჰკლა.

ᲡᲔᲕᲐᲡᲢᲝᲞᲚᲘ. ესკადრა სავარჯიშოდ მიდის კუნძულ ტენდრას.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 5 ივნისს ხელი მოაწერეს ფინანსთა სამინისტროსა და ოტომანის ბანკის შორის დადებულს პირშეკრულობას საპირო ფულის გადადებისა მაკედონიის ეანდარმერიის რეფორმებისათვის. პორტამ მაშინვე გაუგზავნა სახელმწიფოებს ამ პირშეკრულობის ასლი.

ᲕᲘᲜᲘᲜᲐᲒᲔᲜᲘ. მალე გაიმართება რუსთა დაჭრილთათვის სანატორია პროფესორ ნორდგენის ხელმძღვანელობით.

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ. 5 ივნისს მსოფლიო პატრიარქმა პასუხი მოსთხოვა დიდ ვეზირს იმის შესახებ, რომ ბერძნებს ავიწროვებენ მაკედონიაში ბოლგარიის კომიტეტების წევრნი. ამასთანავე პატრიარქმა მიუთითა, რომ ამ ცოტა ხანში ფლორანის ოლქში მკვლელობანი მოახდინეს და განაცხადა, იძულებულ ვიქნები ამის შესახებ თვით სულთანს მივართვა ქაღალდიო. დიდმა ვეზირმა უპასუხა, ეს საქირო არ არისო, რადგანაც მაკედონიაში მშვიდობიანობა მყარდებოო და იმის იმედი აქვს, რომ ძალმომრეობა შესწყდებაო.

ᲣᲛᲝᲗᲐᲕᲠᲘᲚᲘ ᲡᲐᲓᲔᲓᲒᲝᲛᲘ ᲙᲣᲠᲝᲪᲘᲡᲐ. («რეიტ. სა.») (ფუზანიდან). 5—6 ათასამდე რუსის ჯარმა 4 ივნისს დაიპირა სამიაზი. დიდი ძალა იმათი თავშეყრელია და შიციაოსთან.

ᲢᲝᲙᲘᲝᲞ. («რეიტ. ს